ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ წალკის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.</p> <p>პროგრამის მიზანია: სპორტის პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტის განვითარება და წალკის მუნიციპალიტეტის ან/და საქართველოს სახელით მოასპარეზე, ა(ა)იპ „წალკის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში“ მოქმედ სპორტულ წრეებში ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში აღზრდილ და წალკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, წარმატებულ სპორტსმენთა, პარასპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენთა, პარასპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 11		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		500.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის სახლი,</p> <p>კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები.</p> <p>პროგრამის მიზანია: კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ ძირითადად დაკმაყოფილდება ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.		

	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
--	------	--	------------------------



ქვეპროგრამის დასახელება		ბიბლიოთეკის ხელშეწყობა	230.0
	05 02 01 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბიბლიოთეკა. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე.		
მოსალოდნელი შედეგი	განათლების დონის ამაღლება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		60
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს წალკის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფებისა და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 11		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიციპალიტეტი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით, პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე X-XV -საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია, რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურულ-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. დროდადრო ტაძრები საჭიროებენ რესტავრაციასა და რეაბილიტაციას.		



მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 11

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1490.0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,490.0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	190.0
06 02	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	1,300.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		190.0

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წალკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებასა და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატოზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებულებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი); 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.



მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 1, SDG 3

პროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		1300.0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალკის მუნიციპალიტეტი
---------------------------------------	-----------------------

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემდეგი ბენეფიციარების:</p> <p>ა) დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი დახმარება;</p> <p>ბ) 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისადმი დახმარება;</p> <p>გ) ხანდაზმულ (90 და მეტი წლის ასაკი) პირთა დახმარება;</p> <p>დ) სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულით 65000-დან 90000-მდე) დახმარება;</p> <p>ე) სტიქიური მოვლენების ან/და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ ან მძიმე საცხოვრებელ პირობებში დარჩენილი ოჯახებისადმი დახმარება;</p> <p>ვ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;</p> <p>ზ) მარჩენალდაკარგული ოჯახების სოციალური დახმარება;</p> <p>თ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება;</p> <p>ი) იძულებით გადაადგილებულ პირთა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, მარტოხელა მოქალაქეთა და სოციალურად დაუცველთა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების დაფინანსება;</p> <p>კ) თირკმლის ჩანაცვლების (დიალიზი) თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ფულადი დახმარება;</p> <p>ლ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე (სარეიტინგო ქულით 100000-მდე) პირის მიერ საჯარო სკოლის წარჩინებით (ოქროს ან ვერცხლის მედლის კანდიდატი) დამთავრების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარება;</p> <p>მ) ძალადობის მსხვერპლთა, პენიტენციური დაწესებულებიდან ახლადგამოსულ, ოჯახის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ პირთა და რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების დახმარება;</p> <p>ნ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა დახმარება (არასრულწლოვანი შვილის/შვილების ყოლის შემთხვევაში).</p> <p>ო) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეების, არასრულწლოვანი ბავშვების, აგრეთვე იძულებით გადაადგილებული ოჯახების გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების (ოპერაცია) დაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდებიან ან არ ფინანსდებიან სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;</p> <p>პ) მვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით.;</p> <p>ჟ) კომპიუტერული ტომოგრაფია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;</p> <p>რ) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;</p> <p>ს) კორონაროგრაფია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;</p>
----------------------------	---



	ტ) ბიოფსია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით; უ) პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია (PET/CT), რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით; ფ) დედით ან მამით ობოლ ბავშვთა სკოლაში პანსიონური მომსახურება.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალური დონის ამაღლება.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან	SDG 1

მუხლი 18. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

**თავი III
წალკის ბიუჯეტის ასიგნებები**

მუხლი 19. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	წალკის მუნიციპალიტეტი	24,725.0	30,281.5	23,864.3	6,417.1	26,116.6	26,116.6	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	137.0	140.0	140.0	-	140.0	140.0	-
	ხარჯები	9,538.6	12,187.3	12,187.3	-	13,634.0	13,634.0	-
	შრომის ანაზღაურება	3,187.6	3,750.0	3,750.0	-	4,030.0	4,030.0	-
	საქონელი და მომსახურება	1,764.4	2,311.9	2,311.9	-	2,310.0	2,310.0	-
	პროცენტები	10.9	10.0	10.0	-	2.0	2.0	-
	სუბსიდიები	3,931.5	4,970.4	4,970.4	-	5,740.0	5,740.0	-
	გრანტები	25.0	35.0	35.0	-	35.0	35.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	524.7	1,000.0	1,000.0	-	1,200.0	1,200.0	-
	სხვა ხარჯები	94.5	110.0	110.0	-	317.0	317.0	-



	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,130.8	18,038.2	11,621.0	6,417.1	12,454.6	12,454.6	-
	ვალდებულებები	55.6	56.0	56.0	-	28.0	28.0	-
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,104.6	4,866.0	4,866.0	-	5,497.0	5,497.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	137.0	140.0	140.0	-	140.0	140.0	-
	ხარჯები	3,995.3	4,730.0	4,730.0	-	5,269.0	5,269.0	-
	შრომის ანაზღაურება	3,187.6	3,750.0	3,750.0	-	4,030.0	4,030.0	-
	საქონელი და მომსახურება	694.5	840.0	840.0	-	900.0	900.0	-
	პროცენტები	10.9	10.0	10.0	-	2.0	2.0	-
	გრანტები	25.0	35.0	35.0	-	35.0	35.0	-
	სხვა ხარჯები	77.3	95.0	95.0	-	302.0	302.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	53.7	80.0	80.0	-	200.0	200.0	-
	ვალდებულებები	55.6	56.0	56.0	-	28.0	28.0	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,104.6	4,826.0	4,826.0	-	5,457.0	5,457.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	137.0	140.0	140.0	-	140.0	140.0	-
	ხარჯები	3,995.3	4,690.0	4,690.0	-	5,229.0	5,229.0	-
	შრომის ანაზღაურება	3,187.6	3,750.0	3,750.0	-	4,030.0	4,030.0	-
	საქონელი და მომსახურება	694.5	800.0	800.0	-	860.0	860.0	-
	პროცენტები	10.9	10.0	10.0	-	2.0	2.0	-
	გრანტები	25.0	35.0	35.0	-	35.0	35.0	-
	სხვა ხარჯები	77.3	95.0	95.0	-	302.0	302.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	53.7	80.0	80.0	-	200.0	200.0	-
	ვალდებულებები	55.6	56.0	56.0	-	28.0	28.0	-
01 01 01	წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,054.2	1,340.0	1,340.0	-	1,627.0	1,627.0	-



	მომუშავეთა რიცხოვნება	34.0	32.0	32.0		32.0	32.0	
	ხარჯები	1,054.2	1,320.0	1,320.0	-	1,527.0	1,527.0	-
	შრომის ანაზღაურება	857.5	1,050.0	1,050.0	-	1,050.0	1,050.0	-
	საკონელი და მომსახურება	119.5	180.0	180.0	-	180.0	180.0	-
	სხვა ხარჯები	77.3	90.0	90.0	-	297.0	297.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		-	20.0	-	100.0	100.0	-
01 01 02	წალკის მუნიციპალიტეტის მერია	3,050.4	3,486.0	3,486.0	-	3,830.0	3,830.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	103.0	108.0	108.0		108.0	108.0	
	ხარჯები	2,941.0	3,370.0	3,370.0	-	3,702.0	3,702.0	-
	შრომის ანაზღაურება	2,330.1	2,700.0	2,700.0	-	2,980.0	2,980.0	-
	საკონელი და მომსახურება	575.0	620.0	620.0	-	680.0	680.0	-
	პროცენტები	10.9	10.0	10.0	-	2.0	2.0	-
	გრანტები	25.0	35.0	35.0	-	35.0	35.0	-
	სხვა ხარჯები		-	5.0	-	5.0	5.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	53.7	60.0	60.0	-	100.0	100.0	-
	ვალდებულებები	55.6	56.0	56.0	-	28.0	28.0	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები		-	40.0	-	40.0	40.0	-
	ხარჯები		-	40.0	-	40.0	40.0	-
	საკონელი და მომსახურება		-	40.0	-	40.0	40.0	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი		-	40.0	-	40.0	40.0	-
	ხარჯები		-	40.0	-	40.0	40.0	-
	საკონელი და მომსახურება		-	40.0	-	40.0	40.0	-
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16,131.4	19,106.6	12,689.5	6,417.1	13,984.6	13,984.6	-



	ხარჯები	1,930.7	2,470.0	2,470.0	-	2,830.0	2,830.0	-
	საქონელი და მომსახურება	836.5	1,120.0	1,120.0	-	1,300.0	1,300.0	-
	სუბსიდიები	1,094.2	1,350.0	1,350.0	-	1,530.0	1,530.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14,200.7	16,636.6	10,219.5	6,417.1	11,154.6	11,154.6	-
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8,172.9	10,902.3	6,589.5	4,312.8	6,754.6	6,754.6	-
	ხარჯები	309.1	440.0	440.0	-	600.0	600.0	-
	საქონელი და მომსახურება	309.1	440.0	440.0	-	600.0	600.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,863.8	10,462.3	6,149.5	4,312.8	6,154.6	6,154.6	-
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	4,981.0	4,155.0	2,890.0	1,265.0	2,580.0	2,580.0	-
	ხარჯები	801.2	980.0	980.0	-	1,080.0	1,080.0	-
	საქონელი და მომსახურება	175.7	230.0	230.0	-	250.0	250.0	-
	სუბსიდიები	625.5	750.0	750.0	-	830.0	830.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,179.8	3,175.0	1,910.0	1,265.0	1,500.0	1,500.0	-
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მშენებლობა, ექსპლუატაცია	4,355.5	3,405.0	2,140.0	1,265.0	1,750.0	1,750.0	-
	ხარჯები	175.7	230.0	230.0	-	250.0	250.0	-
	საქონელი და მომსახურება	175.7	230.0	230.0	-	250.0	250.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,179.8	3,175.0	1,910.0	1,265.0	1,500.0	1,500.0	-
02 02 02	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	625.5	750.0	750.0	-	830.0	830.0	-
	ხარჯები	625.5	750.0	750.0	-	830.0	830.0	-
	სუბსიდიები	625.5	750.0	750.0	-	830.0	830.0	-
02 03	გარე განათება	620.3	1,050.0	1,050.0	-	1,850.0	1,850.0	-
	ხარჯები	620.3	810.0	810.0	-	850.0	850.0	-



	საქონელი და მომსახურება	351.6	450.0	450.0	-	450.0	450.0	-
	სუბსიდიები	268.7	360.0	360.0	-	400.0	400.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	240.0	240.0	-	1,000.0	1,000.0	-
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	268.7	360.0	360.0	-	400.0	400.0	-
	ხარჯები	268.7	360.0	360.0	-	400.0	400.0	-
	სუბსიდიები	268.7	360.0	360.0	-	400.0	400.0	-
02 03 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	351.6	690.0	690.0	-	1,450.0	1,450.0	-
	ხარჯები	351.6	450.0	450.0	-	450.0	450.0	-
	საქონელი და მომსახურება	351.6	450.0	450.0	-	450.0	450.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	240.0	240.0	-	1,000.0	1,000.0	-
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	2,157.1	2,759.4	1,920.0	839.4	2,500.0	2,500.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,157.1	2,759.4	1,920.0	839.4	2,500.0	2,500.0	-
02 05	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	200.0	240.0	240.0	-	300.0	300.0	-
	ხარჯები	200.0	240.0	240.0	-	300.0	300.0	-
	სუბსიდიები	200.0	240.0	240.0	-	300.0	300.0	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,222.3	900.0	900.0	-	870.0	870.0	-
	ხარჯები	580.1	700.0	700.0	-	770.0	770.0	-
	სუბსიდიები	580.1	700.0	700.0	-	770.0	770.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	642.2	200.0	200.0	-	100.0	100.0	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	580.1	700.0	700.0	-	770.0	770.0	-
	ხარჯები	580.1	700.0	700.0	-	770.0	770.0	-
	სუბსიდიები	580.1	700.0	700.0	-	770.0	770.0	-
03 02	გარემოს დაცვის ღონისძიება	642.2	200.0	200.0	-	100.0	100.0	-



	არაფინანსური აქტივების ზრდა	642.2	200.0	200.0		100.0	100.0	
04 00	განათლება	1,197.0	2,348.4	2,348.4	-	2,320.0	2,320.0	-
	ხარჯები	1,153.2	1,496.9	1,496.9	-	1,520.0	1,520.0	-
	საქონელი და მომსახურება	210.1	296.9	296.9	-	20.0	20.0	-
	სუბსიდიები	943.1	1,200.0	1,200.0	-	1,500.0	1,500.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	43.9	851.5	851.5	-	800.0	800.0	-
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	943.1	1,200.0	1,200.0	-	1,500.0	1,500.0	-
	ხარჯები	943.1	1,200.0	1,200.0	-	1,500.0	1,500.0	-
	სუბსიდიები	943.1	1,200.0	1,200.0		1,500.0	1,500.0	
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	43.9	500.0	500.0	-	800.0	800.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	43.9	500.0	500.0		800.0	800.0	
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	210.1	628.4	628.4	-	-	-	-
	ხარჯები	210.1	276.9	276.9	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	210.1	276.9	276.9	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	351.5	351.5	-	-	-	-
04 04	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	ხარჯები	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	სხვა ხარჯები	-	-			-		
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-		-	-	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,304.1	1,660.0	1,660.0	-	1,955.0	1,955.0	-
	ხარჯები	1,197.2	1,580.0	1,580.0	-	1,755.0	1,755.0	-
	საქონელი და მომსახურება	23.3	55.0	55.0	-	90.0	90.0	-



	სუბსიდიები	1,156.8	1,510.0	1,510.0	-	1,650.0	1,650.0	-
	სხვა ხარჯები	17.2	15.0	15.0	-	15.0	15.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	106.8	80.0	80.0	-	200.0	200.0	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	598.1	770.0	770.0	-	965.0	965.0	-
	ხარჯები	491.3	690.0	690.0	-	765.0	765.0	-
	საქონელი და მომსახურება	9.5	15.0	15.0	-	30.0	30.0	-
	სუბსიდიები	464.6	660.0	660.0	-	720.0	720.0	-
	სხვა ხარჯები	17.2	15.0	15.0	-	15.0	15.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	106.8	80.0	80.0	-	200.0	200.0	-
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	464.6	660.0	660.0	-	720.0	720.0	-
	ხარჯები	464.6	660.0	660.0	-	720.0	720.0	-
	სუბსიდიები	464.6	660.0	660.0	-	720.0	720.0	-
	სხვა ხარჯები							
	არაფინანსური აქტივების ზრდა							
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	133.5	110.0	110.0	-	245.0	245.0	-
	ხარჯები	26.6	30.0	30.0	-	45.0	45.0	-
	საქონელი და მომსახურება	9.5	15.0	15.0	-	30.0	30.0	-
	სხვა ხარჯები	17.2	15.0	15.0	-	15.0	15.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	106.8	80.0	80.0	-	200.0	200.0	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	506.0	690.0	690.0	-	790.0	790.0	-
	ხარჯები	506.0	690.0	690.0	-	790.0	790.0	-
	საქონელი და მომსახურება	13.8	40.0	40.0	-	60.0	60.0	-
	სუბსიდიები	492.2	650.0	650.0	-	730.0	730.0	-



05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	492.2	650.0	650.0	-	730.0	730.0	-
	ხარჯები	492.2	650.0	650.0	-	730.0	730.0	-
	სუბსიდიები	492.2	650.0	650.0	-	730.0	730.0	-
05 02 01 01	კულტურის დაწესებულების ხელშეწყობა	339.8	440.0	440.0	-	500.0	500.0	-
	ხარჯები	339.8	440.0	440.0	-	500.0	500.0	-
	სუბსიდიები	339.8	440.0	440.0	-	500.0	500.0	-
05 02 01 02	ბიბლიოთეკის ხელშეწყობა	152.3	210.0	210.0	-	230.0	230.0	-
	ხარჯები	152.3	210.0	210.0	-	230.0	230.0	-
	სუბსიდიები	152.3	210.0	210.0	-	230.0	230.0	-
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	13.8	40.0	40.0	-	60.0	60.0	-
	ხარჯები	13.8	40.0	40.0	-	60.0	60.0	-
	საქონელი და მომსახურება	13.8	40.0	40.0	-	60.0	60.0	-
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200.0	200.0	200.0	-	200.0	200.0	-
	ხარჯები	200.0	200.0	200.0	-	200.0	200.0	-
	სუბსიდიები	200.0	200.0	200.0	-	200.0	200.0	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	765.5	1,400.4	1,400.4	-	1,490.0	1,490.0	-
	ხარჯები	682.0	1,210.4	1,210.4	-	1,490.0	1,490.0	-
	სუბსიდიები	157.4	210.4	210.4	-	290.0	290.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	524.7	1,000.0	1,000.0	-	1,200.0	1,200.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	83.5	190.0	190.0	-	-	-	-
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	157.4	177.4	177.4	-	190.0	190.0	-
	ხარჯები	157.4	177.4	177.4	-	190.0	190.0	-
	სუბსიდიები	157.4	177.4	177.4	-	190.0	190.0	-



06 02	ავამდფყოფთა სოციალური დაცვა	608.2	1,223.0	1,223.0	-	1,300.0	1,300.0	-
	ხარჯები	524.7	1,033.0	1,033.0	-	1,300.0	1,300.0	-
	სუბსიდიები	-	33.0	33.0		100.0	100.0	
	სოციალური უზრუნველყოფა	524.7	1,000.0	1,000.0		1,200.0	1,200.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	83.5	190.0	190.0		-	-	

თავი IV მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 20. ასიგნებების დაფინანსება

წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 21. ასიგნებების გადანაწილება

წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 22. კანონდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემების ანაზღაურება

2026 წლის განმავლობაში წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 23. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა

წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 25. დავალიანებების ანაზღაურება

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 02-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2026 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 26. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი **190.0** ათასი ლარი



მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის **190.0** ათ. ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 27. სარეზერვო ფონდი

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს **40,0** ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

